



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოხელესი ალექსანდრე ლევის ძე

იოხელესი ალექსანდრე ლევის ძე (27. II. 1912, მოსკოვი,- 19.VI.1978, იქვე), პიანისტი და პედაგოგი.

1932 დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (პედაგოგი - კ. იგუმნოვი). მუსიკოს-შემსრულებელთა I საკავშ. კონკურსის ლაურეატი (1933, II პრემია).

იყო მოსკოვისა (1935-42) და თბილისის (1946- 52) კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი (1952). თბილ. კონსერვატორიაში აღზარდა მრავალი პიანისტი, მ.შ. მ. ჭავჭავანიძე, ც. კარგარეთელი, ვ. თუმანიშვილი, ლ. შინჯიაშვილი, ლ. სანიკიძე, ი. ბახტაძე, ე. დვალი, ო. მელიქ-ფარსადანოვა და სხვ. ი-მა პირველმა შეასრულა ო. თაქთაქიშვილის, ო. გორდელის და სხვათა საფორტეპიანო კონცერტები. 1952-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მოსკოვის გნესინების სახ. პედ. ინ-ტის პედაგოგი, 1965-73 - საფორტეპიანო კათედრის გამგე. 1943-58 უკრავდა კამერულ ტრიოში მ. ბატულოვსკაიასთან (ვიოლინო) და პ. ცაომიკთან (ჩელო) ერთად.

გ. ტორაძე
